# იდენტობის ფორმირების პროცესების მიმდინარეობა საქართველოს

# 22-25 წლის ახალგაზრდებში

**თეონა ასათიანი**

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის*

*მეცნიერებისა და ხელოვნების  ფაკულტეტზე სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის*

*მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სოციალური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ჯავახიშვილი,პროფესორი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2014**

# აბსტრაქტი

კუნ ლუქსის მიერ შემუშავებული კითხვარი (რომელიც მოიცავს ძიების სამ ფორმას: მუდმივი ძიება, ალტერნატივების ძიება, სიღრმისეული ძიება და არჩევანის გაკეთების ორ ფორმას: არჩევანის გაკეთებასა და ამ არჩევანთან იდენტიფიკაციას)სხვადასხვა ქვეყანაში (მაგ: ამერიკა, ბელგია)გამოიყენეს, კითხვარი ასევე გამოიყენეს საქართველოშიც.გამოიკითხა 675 ახალგაზრდა, შედეგად მიიღეს იდენტობის ფორმირების 5 ეტაპის ნაცვლად 3 ეტაპი.ჩემი კვლევის მთავარი მიზანია, გადაამოწმოს ზემოთხსენებული კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები. ამისათვის, გამოვიყენე თვისებრივი მეთოდის ერთ-ერთი კვლევითი ტექნიკა - ფოკუს ჯგუფი22-25 წლისახალგაზრდებთან.ფოკუს ჯგუფში სულ მონაწილეობა მიიღო 15-მარესპონდენტმა, ჯგუფის წევრებთან ინტერვიუ მიმდინარეობდა წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით შედეგად მივიღე, რომ საქართველოშიც გადიან იდენტობის ფორმირების იმ 5 ეტაპს, რომელიც კუნ ლუქსმა შემოგვთავაზა, განსხვავება კი იმაშია, რომ ჩვენთან ეს პროცესები დაჩქარებულად მიმდინარეობს და არ არის ბოლომდე გამომჟღავნებული. ფოკუს ჯგუფის შედეგად გამოვლინდა კულტურისთავისებურებები და ის მიზეზები, რომლებიც იდენტობის ფორმირების პროცესებზე ახდენს გავლენას.

**ძირითადი საძიებო სიტყვები: იდენტობა, იდენტობის ფორმირება, განვითარება, ფოკუს ჯგუფი, “DIDS”.**